ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 321

"4" აგვისტო 2015 წ.

ქ. თბილისი

„ქ. თბილისში არსებული ზოგიერთი გეოგრაფიული ობიექტის სახელების აღმნიშვნელი აბრების დიზაინის შესარჩევი კონკურსის ჩატარებისათვის განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ივნისის N242 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქ. თბილისში არსებული ზოგიერთი გეოგრაფიული ობიექტის სახელების აღმნიშვნელი აბრების დიზაინის შესარჩევი კონკურსის ჩატარებისათვის განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ივნისის N242 განკარგულების პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „ე) კონკურსის ჩატარების ეტაპები და ვადებია:

   ე.ა) I ეტაპი - კონკურსის გამოცხადება, განაცხადების შევსებისა და საკონკურსო ნამუშევრების წარდგენა 2015 წლის 6 ივლისიდან 2015 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით;

   ე.ბ) II ეტაპი - ნამუშევრების წარდგენის ვადის ამოწურვიდან ერთი თვის ვადაში ნამუშევრების გაცნობა და შეფასება;

   ე.გ) III ეტაპი - გამარჯვებულების გამოვლენა და დაჯილდოება არაუგვიანეს 2016 წლის 31 იანვრისა.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი